საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-41

26/01/2022

ქ. თბილისი

,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახმეტის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალოხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზის მშენებლობა რეკონსტრუქციის სამუშაოების როშკა-ღელისვაკის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ", საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ნოემბრის N 2-1118 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ნოემბრის N 2-1118 ბრძანებით გაიცა ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახმეტის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალოხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზის მშენებლობა რეკონსტრუქციის სამუშაოების როშკა-ღელისვაკის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე'' სკოპინგის დასკვნა N 115 (14.11.2019წ).

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის მე-7 ნაწილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახმეტის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალოხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზის მშენებლობა რეკონსტრუქციის სამუშაოების როშკა-ღელისვაკის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ნოემბრის N 2-1118 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი